

ზოგადი სურათი

2017 წლის იანვარ-სექტემბერში 4,436 ავტოსაგზაო შემთხვევა იყო რეგისტრირებული, 2018 წლის იანვარ-სექტემბერში ეს მაჩვენებელი 4,759-მდე გაიზარდა.

ბევრი ფიქრობს, რომ ავტომობილის უკანა სავარძელზე ჯდომა გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე წინაზე და ამიტომ, არც უსაფრთხოების ღვედის გამოყენებაა აუცილებელი. საგზაო უსაფრთხოების დაზღვევის ინსტიტუტის (IIHS) მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა თითქმის 25 პროცენტი, უკანა სავარძელზე ღვედს არ იყენებს. ამ მხრივ საქართველოში გაცილებით რთული ვითარებაა, უკანა სავარძელზე ღვედს არ იკვრავს ავტომობილით მოსარგელეთა აბსოლუტური უმრავლესობა.

როგორც ამავე ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევები აჩვენებს, ფრონტალური შეჯახებისას, უკანა სავარძელზე მყოფ მგზავრს შეუძლია წინაზე მყოფს ტრაგედია მიაყენოს, ან მოკლას კიდევ. ეს მაშინ ხდება, როცა ძლიერი ინერციის გამო, ის წინა სავარძელს აწვება და ამით, მასზე მყოფზე დამატებით ზეწოლას ახდენს. ამ დროს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია მძღოლი, რომელიც ჩვეულებრივზე მეტად აწვება საჭის რგოლს და შესაძლოა, ის ამ დროს უსაფრთხოების ბალიშმაც კი ვერ დაიცვას.

უკანა სავარძელზე ღვედის გამოყენებლობით ადამიანი საფრთხეს უქმნის, როგორც საკუთარ, ასევე სხვა ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

პრობლემა

ადამიანებს არ აქვთ ინფორმაცია უკანა სავარძელზე ღვედის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. ადამიანები, ვინც უკანა სავარძელზე ღვედებს არ იყენებს, ფიქრობენ, რომ თავიანთი დაუდევრობის გამო, არაფერ იზარალებს, მაგრამ ასე არ არის. პირისპირ შეჯახებისას, ღვედები მგზავრებს სავარძლიდან გადმოვარდნის და მყარ სხეულებზე შეჯახებისგან იცავს. ამის გარეშე, სხეული უკონტროლოდ მოძრაობს და ნებისმიერ მყარ ზედაპირთან, ან სხვა მგზავრებთან შეჯახების ალბათობაც გაცილებით იზრდება, რასაც მძიმე ტრავმების გამოწვევა შეუძლია

მიზანი :

შეიქმნას ვიდეორგოლი, რომელიც მოუწოდებს ადამიანებს, რომ უკანა სავარძელზე შეიკრას ღვედი და ამით გაუფრთხილდეს სხვის და საკუთარ სიცოცხლეს.

მთავარი მესიჯი:

(დამოკიდებულია შემსრულებელზე)

სამიზნე აუდიტორია

საქართველოში მცხოვრები ადამიანები, 14-24 წლის ასაკობრივი კატეგორია - მოზარდები რომლებიც ჯერ კიდევ უკანა სავარძელზე სხედან, იწყებენ ავტომობილის ტარებას და გამოხატავენ ავტომობილების მიმართ ინტერესს და ასევე ახალგაზრდა მშობლები.

Tone of voice

მამოტივირებელი, ბიძგის მიმცემი.

განთავსება

მონაწილეთა ნამუშევრები განთავსდება ACAG-ის საკომუნიკაციო არხებზე და სხვადასხვა მედიებში, ძირითადად სოციალურ ქსელებში

აუცილებელი პირობა :

- ვიდეო უნა იყოს მაქსიმუმ 1 წუთიანი
- ვიდეო გადაღებული უნდა იყოს ტელეფონით (ნებისმიერი მოდელი)
- ნამუშევარი უნდა შეიცავდეს ACAG-ის ლოგოს (სასურველია ვიდეოს ბოლოში)
- შესაძლებლობა გაქვთ გამოიყენოთ სტოკ ვიდეო (მაქსიმუმ მთელი ვიდეოს 1/3)

ვადა

8 მაისი - 23:59

(ნამუშევრები უნდა გამოაგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე - acagstudcontest@gmail.com)

გამოგზავნისას Subject-ში მიუთითეთ ორივე მონაწილის სახელი და გვარი